



European School LLC

შპს ევროპული სკოლა

ევროპულ სკოლაში დასწრებით
რეჟიმში სასწავლო პროცესის
განმავლობაში ახალი
კორონავირუსით გამოწვეული
ინფექციის (SARS-CoV-2)
პრევენციის მიზნით
გასათვალისწინებელი რეგულაციები

დოკუმენტი მოამზადა: იურისტი

დოკუმენტი მომზადდა: 2022, სექტემბერი

ს. ჯინაძე

სოფიო ბაზაძე
დირექტორი



21. Skhirtladze Str. Tbilisi, 0177, Georgia
Tel: (032) 239 59 64,
info@europeanschool.ge
www.europeanschool.ge
ს/კ: 205172917

სარჩევი

ევროპულ სკოლაში დასწრებით რეჟიმში სასწავლო პროცესის განმავლობაში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (SARS-CoV-2) პრევენციის მიზნით გასათვალისწინებელი რეგულაციები.....	3
ევროპული სკოლის სივრცეში გადაადგილების რეგულირება	4
რეკომენდაციები სპორტის გაკვეთილებისათვის	4
რეკომენდაციები ევროპული სკოლის ბიბლიოთეკისათვის.....	5
რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებით	6
რეკომენდაციები კვებით და წყლით უზრუნველყოფის თაობაზე.....	6
დამატებითი ინსტრუქცია სანიტარიული კვანძის დასუფთავებისთვის	7
ევროპული სკოლის სამედიცინო პერსონალის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში.....	8
ევროპული სკოლის მასწავლებლების ვალდებულებები	8
ევროპული სკოლის მოსწავლეების ვალდებულებები	9
ევროპული სკოლის მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ვალდებულებები	9
თანამშრომლობის რგოლი: მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი	10
მოსწავლის/მასწავლებლის/თანამშრომლის COVID-19-ით ინფიცირების შემთხვევაში ევროპულ სკოლაში გასატარებელი ღონისძიებები.....	10
სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა	10
დასკვნითი დებულებები	11
დანართი N1.....	12

ევროპულ სკოლაში დასწრებით რეჟიმში სასწავლო პროცესის განმავლობაში ახალიკორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (SARS-CoV-2) პრევენციის მიზნით გასათვალისწინებელი რეგულაციები

შპს „ევროპულ სკოლაში“ (შემდგომში - ევროპული სკოლა) დასწრებით რეჟიმში სასწავლო პროცესის წარმართვისას ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (SARS-CoV-2) თავიდან არიდებისა და პრევენციის მიზნით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის რეკომენდაციების შესაბამისად გათვალისწინებულ და დაცულ იქნას შემდეგი სახის რეგულაციები:

1. ევროპული სკოლის მთელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებული უნდა იყოს განცხადებები COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
2. პერსონალი, მოსწავლეები, მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები, სკოლაში მომსვლელი ნებისმიერი ვიზიტორი, სკოლის ტერიტორიაზე დაიშვება მხოლოდ რესპირატორული სიმპტომების არარსებობის შემთხვევაში;
3. ევროპული სკოლის ტერიტორიაზე საიზოლაციო მიზნებისთვის გამოყენებული ოთახი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
 - ოპტიმალური ბუნებრივი ვენტილაციით;
 - აღჭურვილი დასაჯდომი/მოსასვენებელი საშუალებებით (სკამი/სავარძელი/ტახტი – რომელთა ზედაპირი ექვემდებარება დეზინფექციას);
 - ხელმისაწვდომია ხელის ჰიგიენის საშუალებები: ხელსაბანი ნიჟარა და თხევადი საპონი ან ხელის სანიტაიზერი;
 - ყოველი გამოყენების შემთხვევაში საიზოლაციო ოთახი უნდა დამუშავდეს სველი წესით.
4. მოსწავლეთა/პერსონალის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის მიზნით, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამედიცინო პუნქტის/კაბინეტის ფუნქციონირება კანონმდებლობით დადგენილი წესით;
5. ხელის დეზინფექციისათვის არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტიკური საშუალებების დისპენსერები განთავსებული უნდა იყოს ევროპული სკოლის შესასვლელში, საერთო სარგებლობის სივრცეებთან (საიზოლაციო ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო, სასადილო და სხვ.), თითო სართულზე არანაკლებ 2 ცალი (სასურველია დერეფნის შესასვლელებში). გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ სანიტაიზერის დამაგრება არ არის საჭირო სანიტარიულ კვანძთან/საპირფარეოსთან, რადგან ვირუსთან ბრძოლის პირობებში ხელების დაბანა წყლითა და საპნით უპირატესია;
6. ევროპულ სკოლაში არსებული ხელის ჰიგიენის საშუალებები - ხელსაბანი ნიჟარა წყლით, თხევადი საპნით და ხელის გასამშრალელები ერთჯერადი საშუალებები, იყოს მუდმივად გამართულ მდგომარეობაში. ყველა შესაბამის სივრცეში გამოკრული უნდა იყოს ხელის ჰიგიენის წესების ამსახველი თვალსაჩინოებები;
7. ევროპულ სკოლაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირბადეების რეზერვის არსებობა (მისი გამოყენების საჭიროების შემთხვევებისთვის);
8. სასწავლო ოთახები, ადმინისტრაციული სათავსები და საერთო სარგებლობის ფართები აღჭურვილი უნდა იყოს ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერებით (დახურული კონტეინერებით, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით), რომლებშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი. ნარჩენების პარკი ამოღებულ და განკარგულ უნდა იქნეს ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყოფილი უნდა იყოს, ასევე, ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;
9. სანიტარიული წერტილების სანიტარული დასუფთავება უნდა განხორციელდეს ყოველი დასვენების შემდეგ;
10. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელურების, ლიფტის ღილაკების, მოაჯირების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარიული დამუშავება (არაუმეტეს 3 საათიანი ინტერვალებით);
11. ევროპულ სკოლაში ერთზე მეტი ცვლის დაწესების შემთხვევაში, მომდევნო ცვლის დაწყებამდე გამოყენებულ უნდა იქნას არანაკლებ ნახევარსაათიანი შესვენება სასწავლო ოთახების და ევროპული სკოლის საერთო სარგებლობის ფართების სანიტარიული დასუფთავებისა და განიავეებისთვის;
12. ყოველი სასწავლო დღის შემდგომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება/სანიტარიული დამუშავება „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციის (გაილაინის) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციის „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ შესაბამისად და წინამდებარე დოკუმენტის დანართი №1-ით განსაზღვრული სარეკომენდაციო აღჭურვილობის გამოყენებით;
13. ევროპული სკოლის ტერიტორიაზე გასაწევი ეკონომიკური საქმიანობის (კვებით მომსახურება, არაფორმალური საგანმანათლებლო მომსახურება და სხვა) (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

განმახორციელებელ პირს მოეთხოვება „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონა ვირუსის (COVID- 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების მოთხოვნათა უზრუნველყოფა;

14. სადებიზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს შესაბამისი პირი და ხელმისაწვდომი იყოს აღნიშნული პირისათვის შემდგომ განსაკარგავად. აღნიშნული სადებიზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება უნდა განხორციელდეს სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში ბუნებრივი ვენტილაციით. ბუნებრივი ვენტილაციის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელოვნური ვენტილაციის მომატებული უწყვეტი რეჟიმი, გარე სივრციდან ჰაერის შემოტანით, ცირკულაციითა და გარეთ გატანით. ამასთან, უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონტროლი მათ გამართულ მუშაობაზე.

15. შესვენების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 წუთს, გარდა დიდი შესვენებისა, რომელიც გამოიყენება კვების მიზნით;

16. შესაძლებელია სკოლის ეზოში/ღია სივრცეებში გაკვეთილების ორგანიზება;

17. ერთი და იმავე ოთახში/დარბაზში მოსწავლეთა სხვადასხვა ნაკადის გადაადგილებისას, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკლასო ოთახის/დარბაზის განიავება, მაგიდების, ინვენტარისა და საერთო გამოყენების ზედაპირების დამუშავება სადებიზინფექციო ხსნარით;

18. ყოველი შესვენების დროს მიზანშეწონილია საკლასო ოთახის განიავება.

ევროპული სკოლის სივრცეში გადაადგილების რეგულირება

1. რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.), ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, მოსწავლე (პირბადით) დროებით გადაყვანილი უნდა იყოს საიზოლაციო ოთახში /სივრცეში კანონიერი წარმომადგენლის მოკითხვამდე; საიზოლაციო სივრცეში მყოფ ყველა პირს უნდა ეკეთოს პირბადე; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ევროპული სკოლა ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით;

2. დღის განმავლობაში დაწესებულებაში მყოფი ნებისმიერი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, გადამოწმებულ უნდა იქნეს ტემპერატურა და ამის შესაბამისად განისაზღვროს სამოქმედო გეგმა;

3. დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) პირების (მასწავლებლების, თანამშრომლების და მოსწავლეების) დაშვება ევროპული სკოლის შენობაში;

4. ევროპულ სკოლაში მოსწავლის, მასწავლებლის, თანამშრომლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია, დაადგინოს და წერილობით დააფიქსიროს გაცდენის მიზეზი;

რეკომენდაციები სპორტის გაკვეთილებისათვის

1. ყოველი გაკვეთილის ბოლოს უნდა უზრუნველყოთ სავარჯიშო სივრცის სველი წესით დალაგება და დეზინფექცია;

2. ყოველი დასუფთავებისა და დეზინფექციის შემდეგ უნდა ჩატარდეს დახურული სივრცეების განიავება გაღებული ფანჯრებისა და კარების პირობებში, „ორპირი ქარის“ პრინციპით;

3. თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილას უნდა განთავსოთ ხელის ჰიგიენის საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები;

4. საგაკვეთილო პროცესი ღია სივრცეში უნდა განხორციელდეს ჩართულ პირთა 2 მეტრიანი დისტანციის დაცვით;

5. საგაკვეთილო პროცესი დახურულ სივრცეში უნდა განხორციელდეს 2 მეტრიანი დისტანციის დაცვით, ერთდროულად არაუმეტეს 5 პირისა;

6. ვარჯიშზე მოსწავლეები და სხვა ჩართული პირები უნდა გამოცხადდნენ სავარჯიშო ფორმით;

7. უშუალოდ სავარჯიშო სივრცეში შესვლის წინ ყველა პირისთვის (მოსწავლე, მასწავლებელი და ა.შ.) სავალდებულოა ხელის ჰიგიენის ჩატარება (ხელის დაბანა გამდინარე წყლითა და საპნით და ხელების დამუშავება დეზინფექტანტის საშუალებით);

8. დაუშვებელია საერთო სარგებლობის გასახდელების ან/და საშხაპე სივრცეების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ საშხაპე კაბინები არ არის იზოლირებული ერთმანეთისგან სპეციალური გამოყოფი

კიდევით/ბარიერებით, ხოლო გასახდელელებში არ არის თითოეული მოსწავლისათვის განკუთვნილი ინდივიდუალური კარადები და ინდივიდუალურ სივრცეებს შორის არ არის უზრუნველყოფილი მინიმუმ 2მეტრიანი დისტანცია;

9. საგაკვეთილო პროცესში აკრძალულია საერთო სპორტული ინვენტარის გამოყენება, გარდა სპორტისსახეობის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებლობისა (მაგ., ბურთი, ბატუტი, ტურნიკი და ა.შ.);

10. სპორტის გაკვეთილის დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს სპორტული ინვენტარისა და სავარჯიშო სივრცისსრული დეზინფექცია, ხოლო ვარჯიშში ჩართულმა პირებმა ჩაიტარონ ხელების ჰიგიენა;

11. დახურულ და ღია სივრცეში ვარჯიშის პროცესში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელების სადეზინფექციო საშუალებები.

12. დამატებითი მოთხოვნები დახურული სივრცეებისთვის

- პერიოდულად უნდა ჩატარდეს სანიტარული შესვენებები;
- უნდა უზრუნველყოთ სავარჯიშო პროცესში ბუნებრივი ვენტილაციის უწყვეტი რეჟიმი. ბუნებრივი ვენტილაციის შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოთ უსაფრთხო ვენტილაცია გარედან შემოსული ჰაერით:

- გადართეთ ვენტილაცია ნომინალურ სიჩქარეზე;
- არ გამორთოთ ვენტილაცია და არასამუშაო საათებში ამუშავეთ ყველაზე მინიმალური სიჩქარით;
- სანიტარიულ კვანძებში დატოვეთ ჩართული ვენტილაცია 24/7 რეჟიმში;
- სანიტარულ კვანძებში გამორიცხეთ ფანჯრების გაღება, რათა უზრუნველყოთ ჰაერის ნაკადის სწორიმიმართვა;
- უზრუნველყავით სივრცის დროული დასუფთავება და ნარჩენების დროული გატანა;
- დარბაზის/სივრცის შესასვლელში განათავსეთ ხელის ანტისეპტიკური საშუალებები;
- ყოველი სამუშაო დღის შემდგომ უზრუნველყავით საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია.

13. მოსწავლეებისა და პერსონალის ვალდებულებები

- ვარჯიში განახორციელებს რეკომენდაციების შესაბამისად;
- სავარჯიშო სივრცეში და ადგილზე დაიცავით ჰიგიენის წესები;
- მისაღმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვა პირებთან კონტაქტს;
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაციით გათვალისწინებული სოციალური დისტანცია (არანაკლებ 2 მ);

- ვარჯიშის დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სავარჯიშო/სათამაშო სივრცეები და ის ინვენტარი, რომელსაც იყენებენ ვარჯიშის პროცესის მიმდინარეობისას;

- კარგად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით. დაბანის შემდგომ ხელები კარგად გაიმშრალეთ; იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების წყლითა და საპნით დაბანას და გაშრობას, გამოიყენეთ 70%-იანი სპირტის შემცველი ხელის ანტისეპტიკური საშუალებები;

- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ერთჯერადი ხელსახოცი ან იდაყვიში მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადაადგეთ ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერში/ურნაში;

- თავი შეიკავეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებისაგან, ვარჯიშის პერიოდში სასურველია თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება; უზრუნველყავით სავარჯიშო/სამეჯიბრო სივრცის დროული დასუფთავება და ნარჩენების დროული გატანა;

- ყოველი დღის შემდგომ უზრუნველყავით სივრცის სველი წესით დალაგება/დეზინფექცია.

რეკომენდაციები ევროპული სკოლის ბიბლიოთეკისათვის

1. წიგნების/დოკუმენტების გამცემი პირი აღჭურვილი უნდა იყოს ხელთათმანებით;
2. უზრუნველყავით ვიზიტორთა განთავსება მაგიდებთან წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე, იმგვარად, რომ დაცული იყოს უსაფრთხო დისტანცია (არანაკლებ 2მ). შეგიძლიათ გამოიყენოთ ადგილების მარკირება;
3. აკრძალეთ ჯგუფური მუშაობის პრინციპი;
4. უზრუნველყავით კომპიუტერისა და მისი აქსესუარების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით ყოველი გამოყენების შემდეგ;
5. ყველა სამუშაო ავეჯი გამოყენების შემდეგ დამუშავეთ სადეზინფექციო ხსნარითა და მშრალი ხელსახოცით;
6. დარბაზის შესასვლელში უზრუნველყავით ხელის სადეზინფექციო არანაკლებ 70% ალკოჰოლის შემცველი ხსნარისა და გამოყენების წესების განთავსება (დარბაზის დროებით დატოვების შემდეგ დაბრუნებისას აუცილებელია სადეზინფექციო ხსნარის გამოყენება);

7. გამოყავით პირი, რომელიც კონტროლს გაუწევს რეკომენდაციების დაცვას სამკითხველო დარბაზში.

8. პერსონალისა და ვიზიტორთა ვალდებულებები:

ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავისდაცვის საუკეთესო საშუალებას.

- დაიცავით ჰიგიენის წესები;
- მისალმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
- მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაცია უსაფრთხო დისტანციის დაცვის (არანაკლებ 2 მ) შესახებ;
- სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
- სამუშაოს დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- გამოიყენეთ არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
- დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან იდაყვში მოხრილი მხარი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;
- მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება.

რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებით

1. განხორციელდეს ყველა იმ ზედაპირის დასუფთავება/დეზინფექცია, რომელთანაც შეხება უწევს სსსმ მოსწავლესა და მასთან მომუშავე სპეციალისტს/სპეციალისტებს (მოსწავლესთან მუშაობის პროცესში გამოყენებული ნებისმიერი დამხმარე და განმავითარებელი რესურსი, მათ შორის, ეტლი, ყავარჯენი, სათვალე და სხვა);
2. უზრუნველყოფილ იქნეს გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი;
3. სსსმ მოსწავლესთან მუშაობის დროს სპეციალისტმა, მიზანშეწონილია, გამოიყენოს პირბადე, თუ სამუშაო მოითხოვს მოსწავლესთან პირისპირ კონტაქტს 1მ-ზე ნაკლები დისტანციის პირობებში, ხელებით კონტაქტის საჭიროებისას კი დაიმუშაოს ხელები სადეზინფექციო საშუალებით.
4. სსსმ მოსწავლესთან მომუშავე სპეციალისტმა უნდა დაიცავას ჰიგიენის წესები სამუშაო ადგილზე, ასევე, დაეხმაროს სსსმ მოსწავლეებს ჰიგიენის წესების დაცვაში;
5. სსსმ მოსწავლესთან მომუშავე სპეციალისტი შეძლებისდაგვარად უნდა დაეხმაროს სსსმ მოსწავლეებს უსაფრთხო დისტანციის დაცვაში.

რეკომენდაციები კვებით და წყლით უზრუნველყოფის თაობაზე:

1. უზრუნველყავით ბუფეტში/სასადილოში არსებული ყველა ონკანის გამართული მუშაობის რეჟიმი;
2. ბუფეტის/სასადილოს შესასვლელთან ახლოს, შიდა სივრცეში ხელმისაწვდომია ფუნქციონირებისთვის გამართული ხელსაბანები. საკვების მიღების წინ სანიტაიზერით ხელის დამუშავება არ არის რეკომენდირებული;
3. თითოეულ მოსწავლეს მიეცეს საკუთარი, მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლის სკოლაში ტარების რეკომენდაცია;
4. უზრუნველყოფილია დღის განმავლობაში მოსწავლის მიერ ბოთლის ხარისხიანი სასმელი წყლით შევსების შესაძლებლობა ონკანიდან, ჭიდან, სასმელი წყლის ავზიდან, დისპენსერიდან.
5. უზრუნველყოფილია საკმარისი რაოდენობის წყლის მუდმივი ხელმისაწვდომობა სასმელად, პირადი ჰიგიენისათვის, საკვების მოსამზადებლად, დასუფთავებისა და რეცხვისათვის.

ჭურჭლის ხელით რეცხვისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პროცედურები

1. სამზარეულოს ჭურჭლის რეცხვა და შრომა უნდა ხორციელდებოდეს სპეციალურად გამოყოფილ ზონაში:
 - ჭურჭელი მექანიკურად უნდა გათავისუფლდეს საჭმლის ნარჩენებისგან;
 - გაირეცხოს არანაკლებ 40°C ტემპერატურის წყლითა და სარეცხი საშუალებების გამოყენებით პირველ სამზარეულოს ნიჟარაში;
 - გაირეცხოს ხელმეორედ არანაკლებ 40°C ტემპერატურის წყლითა და უფრო ნაკლები რაოდენობის სარეცხისაშუალების გამოყენებით მეორე სამზარეულოს ნიჟარაში;
 - გაივლოს არანაკლებ 65°C ტემპერატურის ცხელი გამდინარე წყლით;

- დაიწრიტოს და გაშრეს საწრეტზე;
2. წვრილმანი ინვენტარი – დაფები, ნიჩბები, სათქვეფები და სხვა, ცხელი წყლით გარეცხვის შემდეგ უნდა გაშრეს. სამზარეულოს ჭურჭელი ირეცხება ცხელ წყალში სარეცხი საშუალებებით. ჭურჭელი უნდა გაივლოსარანაკლებ 65°C -იან ცხელ წყალში და დაიწრიტოს;
 3. ხელით რეცხვისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს სამგანყოფილებიანი ნიჟარები სასადილო ჭურჭლისათვის და ორგანყოფილებიანი შუშის ჭურჭლისა და სასადილო მოწყობილობებისათვის. დასაშვებია, შეზღუდული ასორტიმენტის ორგანიზაციებში სასადილო ჭურჭლისა და მოწყობილობების რეცხვა ორგანყოფილებიან სამზარეულოს ნიჟარებში;
 4. სარეცხ განყოფილებებში კედელზე უნდა გაიკრას ინსტრუქცია ჭურჭლისა და ინვენტარის რეცხვის წესების შესახებ, გამოყენებული სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებების კონცენტრაციების მითითებით.

სასადილოში მომუშავე პირთა ვალდებულებები

1. დაიცავით ჰიგიენის წესები თქვენს სამუშაო ადგილზე;
2. სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ინდივიდუალური დაცვის საშუალებები;
3. სამუშაოს დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
4. ხელის ჰიგიენა ჩაიტარეთ ხშირად;
5. გამოიყენეთ სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას. გახსოვდეთ, რომ ხელების დაბანა საპნითა და წყლით არის უპირატესი;
6. მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში უზრუნველყავით თმის შეკვრა/მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება (შესაძლებელია ჩაჩის, ან სპეციალური თავსაბურავის გამოყენება);
7. ხელთათმანების შეცვლა მოახდინეთ ხშირად. შეცვლისას აუცილებელია ხელების დაბანა. ხელთათმანები არ განიხილოთ როგორც ხელების დაბანის შემცველი საშუალება. ხელების დაბანა უფრო ეფექტური დამცავი ბარიერია ინფექციისთვის, ვიდრე ერთჯერადი ხელთათმანი;
8. ხელთათმანები შეცვალეთ არასასურსათო პროდუქტთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, მაგალითად ხელით კარების გახსნა / დახურვა და ყუთების დაცლა.

დამატებითი ინსტრუქცია სანიტარიული კვანძის დასუფთავებისთვის

1. წინასწარ განისაზღვროს საპირფარეშოების დასუფთავების წესი, პერიოდულობა, დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა;
2. სანიტარიული კვანძის დეზინფექციისთვის გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებული საშუალებები (<https://www.ncdc.ge/Pages/User/News.aspx?ID=f70ca25e-e850-4deb-9d7d-8b058b934d2d>);
3. სანიტარიული კვანძის მოპირკეთებული ზედაპირების, უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების რეცხვა და დეზინფიცირება განხორციელდეს დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ;
4. საწმენდი და სადეზინფექციო ინვენტარი გამოყენების შემდეგ უნდა გაირეცხო და გაშრეს;
5. დამლაგებელი აღჭურვილი უნდა იყოს შემდეგი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:
 - ხელთათმანები;
 - სახის ფარი (საჭიროებისას);
 - წყალგაუმტარი წინსაფარი (რომელიც ყოველი გამოყენების შემდეგ დაექვემდებარება რეცხვასა და დეზინფიცირებას)/ ერთჯერადი წყალგაუმტარი ხალათი;
6. დასუფთავების დროს თავიდან უნდა იქნას აცილებული შხეფებისა და აეროზოლების წარმოქმნა;
7. დასუფთავების პროცედურების ჩატარების დასრულებისთანავე, ხელთათმანების გახდის შემდეგ, აუცილებლად დაცულ უნდა იქნეს ხელის ჰიგიენა;
8. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები შეინახეთ სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში/კარადაში, პირვანდელი/მწარმოებლის შეფუთვით, რათა შესაძლებელი იყოს დიფერენცირება მარკირების მიხედვით და არ იყოს ხელმისაწვდომი პირებისთვის;
9. უზრუნველყოფილი უნდა იყოს დასუფთავებისთვის გამოსაყენებელი საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებებისთვის განკუთვნილი საცავის ვენტილაციის შესაძლებლობა.

ევროპული სკოლის სამედიცინო პერსონალის მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში

1. ევროპული სკოლის დღის რეჟიმის შედგენა;
2. ზედამხედველობა მოსწავლეთა კვების ბლოკის სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობასა და საკვები პროდუქტების უსაფრთხოებაზე;
3. მუშაობა ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის;
4. ზედამხედველობა ევროპულ სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე;
5. მეთვალყურეობა დასუფთავებასა და ჰიგიენური რეჟიმის უზრუნველყოფაზე;
6. მონაწილეობა ჰიგიენური განათლების პროგრამებში, ჰიგიენური უნარ-ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობ აქტივობებში.
7. ევროპული სკოლის მოსწავლეებისთვის დამატებითი აქტივობის ჩატარება ხელის ჰიგიენისა და დისტანციის დაცვის უპირობოდ შესრულების მიზნებისთვის.
8. სკოლის შენობაში ხელის ჰიგიენისა და დისტანციის დაცვის დარღვევის გამოვლენისას (მაგ.: ჩააყენოს ადმინისტრაცია საქმის კურსში, მისცეს შენიშვნა და ა.შ.) გადამჭრელი ღონისძიებების დაუყოვნებლის გამოყენება.

ევროპული სკოლის მასწავლებლების ვალდებულებები

1. დაიცავით ევროპულ სკოლაში დადგენილი და ჰიგიენის ზოგადი წესები;
2. სრულად დაიცავით სასწავლო პროცესის განმავლობაში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (SARS-CoV-2) პრევენციის მიზნით ევროპული სკოლის მიერ შემუშავებული ზოგადი რეგულაციები;
3. პერიოდულად დაიძულებით ხელეხილეთ სადებიზინფექციო ხსნარით იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა თხევადი საპნით და ერთჯერადი ხელსახოცით გაშრობა;
4. დაიბანეთ ხელები საპნის წყლით ხელების ხილული დაბინძურებისას ან ბიოლოგიურ სითხეებთან კავშირისას
5. დახველებისა და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი (რომელიც ერთჯერადი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება გადაგდებას) ან მოხრილი იდაყვი; გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერში/ურნაში;
6. კარგად დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით. დაბანის შემდგომ ხელები კარგად გაიმშრალეთ; იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების წყლითა და საპნით დაბანას და გაშრობას, გამოიყენეთ 70%-იანი სპირტის შემცველი ხელის ანტისეპტიკური საშუალებები;
7. საჭიროებიდან გამომდინარე, გამოიყენეთ ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერებით (დახურული კონტეინერები, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით);
8. დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) არსებობისას ევროპული სკოლის შენობაში დაშვება;
9. ევროპულ სკოლაში მოსწავლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია, დაადგინოს და წერილობით დააფიქსიროს გაცდენის მიზეზი;
10. სავალდებულოა ევროპული სკოლის მიერ ხელის ჰიგიენასთან დაკავშირებით ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობის მიღება;
11. გაითვალისწინეთ, რომ სიცხის გადამოწმების შემდეგ 370C ან 370C -ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში:
 - ნებისმიერი პირი არ დაიშვება სკოლაში და ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს;
 - მოსწავლეს უნდა მოერგოს პირბადე და განთავსდეს წინასწარ მოზადებულ საიზოლაციო ოთახში, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს დაკავშირება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან, რომელიც ვალდებულია მოსწავლის სკოლიდან დროულად გაყვანაზე;
 - მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ევროპული სკოლა უნდა დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;
 - საიზოლაციო ოთახში მყოფ მოსწავლეს უნდა ეკეთოს პირბადე, დაცული უნდა იყოს 1 მეტრიანი დისტანცია და მოსწავლეები არ უნდა რჩებოდნენ მეთვალყურეობის გარეშე;
 - დაფიქსირებული ცხელების შემთხვევები უნდა აღირიცხოს შესაბამის ფორმაში, რომელიც დანართი N 3-ის სახით თან ერთვის წინამდებარე დოკუმენტს
12. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.

ევროპული სკოლის მოსწავლეების ვალდებულებები

1. დაიცავით ევროპულ სკოლაში დადგენილი და ჰიგიენის ზოგადი წესები;
2. სრულად დაიცავით სასწავლო პროცესის განმავლობაში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (SARS-CoV-2) პრევენციის მიზნით ევროპული სკოლის მიერ შემუშავებული რეგულაციები;
3. პერიოდულად დაიმუშავეთ ხელები სადეზინფექციო ხსნარით იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება ხელების დაბანა თხევადი საპნით და ერთჯერადი ხელსახოცით გაშრობა;
4. დაიბანეთ ხელები წყლითა და საპნით ხილული დაბინძურების შემთხვევაში ან ბიოლოგიური სითხეების მოხვედრისას;
5. დახველებისა და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი (რომელიც ერთჯერადი გამოყენების შემდეგ ექვემდებარება გადაგდებას ნარჩენებისთვის განკუთვნილ კონტეინერში/ურნაში) ან მოხრილი იდაყვი;
6. არ გამოიყენოთ სხვისი ნივთები;
7. სავარჯიშო სივრცეში და ადგილზე დაიცავით ჰიგიენის წესები;
8. მისალმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვა პირებთან კონტაქტს;
9. მოერიდეთ თავშეყრას, დაიცავით რეკომენდაციით გათვალისწინებული სოციალური დისტანცია (არანაკლებ 2 მ);
10. თავი შეიკავეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებისაგან.
11. საჭიროებიდან გამომდინარე, გამოიყენეთ ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი კონტეინერებით (დახურული კონტეინერები, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით);
12. რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, (პირბადით) დროებით გადაყვანილ იქნებით საიზოლაციო ოთახში კანონიერი წარმომადგენლის მოსვლამდე. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ევროპული სკოლა ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით;
13. საკვების მიღების წინ დაიცავით ჰიგიენა წყლით და საპნით (საკვების მიღების წინ სანიტაიზერით ხელის დამუშავება არ არის რეკომენდირებული);
14. რეკომენდირებულია საკვების კონტეინერით (ლანჩ-ბოქსით) ტარება და მისი გამოყენება;
15. რეკომენდირებულია საკუთარი, სუფთა და მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლის სკოლაში ტარება. წყლის ბოთლი რეკომენდირებულია გაირეცხოს დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეშიერთხელ;
16. სასწავლო რესურსის (წიგნი, ფერადი ფანქრები, ფერადი ფურცლები და ა.შ.) ევროპულ სკოლაში დატოვების შემთხვევაში, სავალდებულოა შესაბამისი კონტეინერების გამოყენება;
17. სავალდებულოა ევროპული სკოლის მიერ ხელის ჰიგიენასთან დაკავშირებით ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობის მიღება;
18. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში მიმართეთ ექიმს.

ევროპული სკოლის მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ვალდებულებები

1. ცხელების/რესპირატორული დაავადების შემთხვევაში არ გაუშვათ მოსწავლე ევროპულ სკოლაში;
2. სახლის პირობებში მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში შეატყობინეთ კლასის დამრიგებელს, ასევე უზრუნველყავით ბავშვის მიმართვა ოჯახის/სოფლის ექიმთან ან 112-თან დაკავშირება შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად;
3. რეკომენდირებული მოსწავლის მიერ საკუთარი, სუფთა და მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლის სკოლაში ტარება. წყლის ბოთლი რეკომენდირებულია გაირეცხოს დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში ერთხელ;
4. საკვების შესაძენად მოსწავლეთა გადაადგილების მაქსიმალურად შეზღუდვის მიზნით, რეკომენდირებულია საკვების კონტეინერით (ლანჩ-ბოქსით) ტარება და მისი გამოყენება;
5. სასწავლო რესურსის (წიგნი, ფერადი ფანქრები, ფერადი ფურცლები და ა.შ.) მოსწავლის მიერ ევროპულ სკოლაში დატოვების შემთხვევაში, სავალდებულოა შესაბამისი კონტეინერების გამოყენება;
6. ცხელების ან სხვა რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენისას უზრუნველყავით ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და PCR ტესტირების ჩასატარებლად;
7. აწარმოეთ კომუნიკაცია ევროპული სკოლის მიერ ხელის ჰიგიენასთან დაკავშირებით ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებთან დაკავშირებით;
8. დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების შემთხვევაში (ხველა, ცემინება,

სურდო, სუნთქვის გამწვანება, საერთო სისუსტე და ა.შ.) დაშვება ევროპული სკოლის ტერიტორიაზე;

9. რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გამწვანება, საერთო სისუსტე და ა.შ.) ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია გამოცხადდეს ევროპულ სკოლაში შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან უმოკლეს დროში და უზრუნველყოს ბავშვის მიმართვა ოჯახის/სოფლის ექიმთან ან 112-თან დაკავშირება შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ევროპული სკოლა ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით;

10. სკოლაში მოსწავლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია აცნობოს ადმინისტრაციას/კლასის დამრიგებელს და დააფიქსიროს გაცდენის მიზეზი;

11. სრულად დაიცავით ევროპული სკოლის მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის განმავლობაში ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (SARS-CoV-2) პრევენციის მიზნით რეგულაციები.

თანამშრომლობის რგოლი: მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი

1. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ევროპულ სკოლებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება ხელის ჰიგიენის საკითხებზე. ამასთან, უწყვეტი საინფორმაციო კომუნიკაცია ხელის ჰიგიენის მნიშვნელობის შეხსენების შესახებ COVID-19 ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

2. მუდმივად უნდა განხორციელდეს ინფორმაციის მიწოდება მასწავლებლების, თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის SARS-COV2 ვირუსთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ (თვალსაჩინო ადგილას განთავსდეს ხელის ჰიგიენის, ხველის ეტიკეტისა და სხვა შემახსენებლები);

3. შეხვედრები მასწავლებლებთან, მშობლებთან უნდა წარიმართოს მაქსიმალურად დისტანციური სერვისების გამოყენებით.

მოსწავლის/მასწავლებლის/თანამშრომლის COVID-19-ით ინფიცირების შემთხვევაში ევროპულ სკოლაში გასატარებელი ღონისძიებები

1. სკოლის მასწავლებლის/თანამშრომლის COVID-19-ით ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში ინფიცირებული პირი ექვემდებარება იზოლაციას. ის იზოლირებული უნდა იყოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული ვადით - 5-7 კალენდარული დღე დადასტურებიდან ექიმის გადაწყვეტილებით.

2. სკოლის მოსწავლის COVID-19-ით ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში - ის იზოლირებული უნდა იყოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული ვადით - არანაკლებ 7 კალენდარული დღე დადასტურებიდან ექიმის გადაწყვეტილებით.

3. COVID-19-ის დადასტურებულ შემთხვევასთან კონტაქტირებული პირები არ ექვემდებარებიან კარანტინს. მათი იდენტიფიცირება და მიდევნება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სამსახურის მიერ არ არის სავალდებულო.

4. დადასტურებულ შემთხვევასთან კონტაქტირებულმა პირებმა (მოსწავლე/მასწავლებელი/თანამშრომელი) სკოლაში უნდა ატარონ სწორად მორგებული პირბადე კონტაქტიდან 10 დღის განმავლობაში;

5. მოსწავლის დაინფიცირების შემთხვევაში, კონტაქტირებულებად ჩაითვლება ძირითადად თანაკლასელები და კონტაქტში მყოფი მასწავლებლები.

სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა

1. თითოეულ მოსწავლეზე უნდა გაიცეს საკუთარი, სუფთა და მარკირებული (სახელი, გვარი) წყლის ბოთლის სკოლაში ტარების რეკომენდაცია;

2. უზრუნველყოფილი უნდა იყოს დღის განმავლობაში მოსწავლის მიერ ბოთლის ხარისხიანი სასმელი წყლით შევსების შესაძლებლობა ონკანიდან, ჭიდან, სასმელი წყლის ავზიდან, დისპენსერიდან;

3. წყლის ბოთლი რეკომენდირებულია გაირეცხოს დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეშიერთხელ.

4. ევროპულ სკოლაში გაგრძელდეს წყლის მუდმივი ხელმისაწვდომობა სასმელად, პირადი ჰიგიენისათვის, საკვების მოსამზადებლად, დასუფთავებისა და რეცხვისათვის „წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის №01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციის - „წყალი,

სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში“ შესაბამისად.

5. სათანადოდ აღჭურვილი წყალმომარების წერტილები, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალელებელი ერთჯერადი ხელსახოცები - ხელმისაწვდომი იყოს ყველა კრიტიკულ წერტილში, კონკრეტულად კი სველ წერტილებში და სამზარეულოში;

6. სათანადოდ აღჭურვილი სასმელი წყლის წერტილები - ხელმისაწვდომი იყოს მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული წესების სრულად დაცვა სავალდებულოა ევროპული სკოლის მოსწავლეების/მათი კანონიერი წარმომადგენლებისა და ევროპული სკოლის თითოეული თანამშრომლის მიერ;

2. წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად და გათვალისწინებით.

3. წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული რეგულაციების დაცვა სავალდებულოა ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებითა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

4. თუ წინამდებარე დოკუმენტით რაიმე საკითხი არ არის რეგულირებული, გამოიყენება „სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის № 01-227/ო ბრძანებით დადგენილი რეგულაციები.

დასალაგებელი ინვენტარისა და საშუალებების სტანდარტული ჩამონათვალი

1. ინვენტარის გადასაადგილებელი საშუალება;
2. იატაკის საწმენდი ჯოხი - სველი დამუშავებისათვის;
3. ორგანოფილებიანი სათლი: სუფთა წყალი/სარეცხი საშუალებიანი სითხე;
4. აქანდაზი და ცოცხი;
5. ხელთათმანი და სათადარიგო ხელთათმანი;
6. მუშაობის წინსაფარი სანიტარიულ კვანძში ოპერირებისათვის;
7. ტილოები მ.შ. იატაკის, შუშისათვის და ავეჯისთვის;
8. საწმენდი ღრუბელი, ჯაგრისი, სახეხი (რბილი მეტალის სპირალი);
9. ჰაერის დეზოდორი;
10. ხის ავეჯის დასამუშავებელი (საჭიროების შემთხვევაში);
11. ტყავის ზედაპირების დასამუშავებელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
12. სარეცხი ფხვნილი (გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ ტილოების გასარეცხად);
13. ზედაპირების სახეხი ფხვნილი ან კრემი;
14. სითხე იატაკის წმენდისა და გაპრიალებისათვის, მოპირკეთების ტიპის (ხე, მეტლახი, ლინოლეუმი და სხვ.);
15. უნიტაზის დასამუშავებელი სითხე;
16. შუშის საწმენდი;
17. ნიკელის, თითბრის და ლითონის სხვა ზედაპირების დასამუშავებელი საშუალება;
18. ტრაპების და კოლექტორების დასამუშავებელი საშუალება;
19. დიდი და პატარა ნაგვის პარკები;
20. სადეზინფექციო ხსნარი, დასალაგებელი ინვენტარის დასამუშავებლად, დასუფთავების პროცესის დამთავრების შემდეგ.